წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 1

ქ. წალკა; 24.01.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, მელიტონ პაკელიანი,ნუგზარი ჩამურლიევი, ლევონ მარკოსიან, ზვიად გელაძე, ჯემალი ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
ანზორ ხინიკაძე წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
ფეოხარი პარასკევოვ წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,
ამირან საყვარელიძე წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

სხდომა დაიწყო: 11:30 სთ;
სხდომა დასრულდა: 12:45 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ";

3. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ";

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ";

5. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის იანვრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: ანზორ ხინიკაძე, მერის პირველი მოადგილე;
თანამომხსენებლები: ზვიად გელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე/;

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელი: ირაკლი გიგინეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებლები: ზვიად გელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე/;

3. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელი: ფეოხარი პარასკევოვ მერის მოადგილე;
თანამომხსენებელი: ანტარამ მელტონიან სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ზვიად გელაძე საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე/;

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელი: ფეოხარი პარასკევოვ მერის მოადგილე;
თანამომხსენებელი: ლევონ მარკოსიან ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე/;

5. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის იანვრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელი: ზვიად გელაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/;

სხდომამ განიხილა:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა: ა.ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;

თანამომხსენებლები: ზვიად გელაძემ საკრებულოს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ჯ.ბერიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (22 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება #1 თან ერთვის);

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა: ი.გიგინეიშვილმა საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;

თანამომხსენებლები: ზ.გელაძემ საკრებულოს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ა.ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო მერიის პოზიცია განსახილველი დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე, ჯ.ბერიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (23 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება #2 თან ერთვის);

3. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა: ფ.პარასკევოვმა საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;

თანამომხსენებლები: ა.მელტონიანმა საკრებულოს გააცნო სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ზ.გელაძემ საკრებულოს გააცნო წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ჯ.ბერიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება #3 თან ერთვის);

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა: ფ.პარასკევოვმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

თანამომხსენებლები: ლ.მარკოსიანმა საკრებულოს გააცნო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, ჯ.ბერიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" დასკვნა განკარგულების პროექტზე;

სხდომის თავმჯდომარის ი.გიგინეიშვილის შეკითხვაზე მომხსენებელმა უპასუხა ჩვენს მიერ წარმოდგენილი გეგმის პროექტი ხარვეზიანია და ახლო მომოვალში წარმოგიდგენთ შესაბამისი ცვლილებების პროექტს. გთხოვთ განკარგულების პროექტი დავამტკიცოთ წარმოდგენილი სახით.

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119.119230241 თან ერთვის);

5. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის იანვრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

/მომხსენებელი: ზ.გელაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო აღნიშნული განკარგულება;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

(24 მომხრე, 0 წინააღმდეგი) განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (განკარგულება #გ-119.119230242 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი

საკრებულო. წალკის მუნიციპალიტეტი
243125934
GEORGIA, MUNICIPALITY OF TSALKA